ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1950124

ნომერი: AR1316581

თარიღი : 08.06.2015

გაცემის თარიღი : 11.06.2015

გაცნობის თარიღი : 12.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დათიაშვილი პ/ნ 60001043041
- ქუთაისი ს.თოფურიას ქ. N 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1.სამსახურში ფიქსირდება თქვენი AR1240129 განცხადება, რომლითაც ითხოვდით შპს "ავერსი-გეოფარმი"-ს საკუთრებაში არსებული ფართის (ს.კ. N 01.10.14.031.004.01.523) ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას. რასთან დაკავშირებითაც სამსახურის მიერ გაიცა წერილობითი თანხმობა №1416593 გადაწყვეტილებით. ამჟამად კი ითხოვთ აღნიშნულ ფასადზე სხვა სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას, თუმცა "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე"-ს ველში მითითებულია შპს "დიონისე"-ს საკუთრებაში არსებული ფართის საკადასტრო კოდი (N 01.10.14.031.004.02.502). აღნიშნულ შეუსაბამოებასთან დაკავშირებით საჭიროა განმარტოთ ინფორმაცია მოთხოვნის ტექსტში და დააფიქსიროთ თუ ვის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე ხორციელდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
2.წარმოადგინეთ განახლებული ფოტომონტაჟი, რომელზეც ფასადის მოპირკეთებით და შეღებვით არ მოხდება არსებული კომუნიკაციების გადაფარვა.
3."ფაილის მიმაგრება"-ს ველში ატვირთეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა პანდუსის მონიშვნით, იმ შემთხვევაში თუ პანდუსის მოწყობა ხდება ხდება დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულის მოწყობა ხორციელდება კორპუსის საკადასტრო საზღვრებში წარმოადგინეთ ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3 (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა 100%.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.